3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ტექნიკური პირობები

3.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით განსაზღვრული მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების (ჯიპების) შესყიდვას.

3.2 შესასყიდი ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების (ჯიპების) ტექნიკურ მაჩვენებლებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით.

3.3 შესყიდვის ობიექტია: **20 (ოცი)** ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების (ჯიპების) შესყიდვა, თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურებით.

3.4 ავტომობილების მიწოდების ადგილია: შემსყიდველის იურიდიული მისამართი (ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68) და/ან მიმწოდებლის მისამართი ქ. თბილისის ფარგლებში.

3.5 ავტომობილების მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან - **100 (ასი)** კალენდარული დღე;

3.6 შემოთავაზებული ავტომანქანა უნდა იყოს სრულიად ახალი (არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში ნამყოფი);

ავტომანქანის გამოშვების წელი - 2017 წ.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები (მე-3 კლასის მსუბუქი ავტომობილები)		
1	ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემი დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.3
2	ცხენის ძალა არანაკლებ	82
3	გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
4	სიგრძე არანაკლებ	3665
5	სიგანე არანაკლებ	1600
6	სიმაღლე არანაკლებ	1575
7	წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არაუმეტესს	9.3 ლიტრი
8	საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
9	უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
10	ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
11	აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
12	აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
13	აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
14	აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
15	აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
16	აუცილებელი მოთხოვნა	ABS
17	აუცილებელი მოთხოვნა	4X4
*	აუცილებელი მოთხოვნა	**კარებების რაოდენობა - 5*;**
*	აუცილებელი მოთხოვნა	**ფითელი****

*** - ავტომანქანების კარებების რაოდენობა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა იყოს - 5 (ოთხი მძღოლის და მგზავრების და ერთი საბარგულის კარი).**

** - <u>ავტომანქანების ფერი (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბრენდის კორპორატიული ფერის გათვალისწინებით) უნდა იყოს - წითელი *(დაუშვებელია სხვა ფერის ავტომობილების შემოთავაზება).*</u>

3.7 მისაწოდებელი ავტომობილის შემსყიდველისათვის გადაფორმების მიზნით შესაბამის ორგანოებში რეგისტრაციის ხარჯი უნდა აანაზღაუროს მიმწოდებელმა.

3.8 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს, როგორც ავტომანქანების აქციზის, განბაჟების ღირებულებას, ასევე თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურებების დამატებითი ღირებულების გადასახადს და ავტომობილის შემსყიდველზე გადაფორმების ხარჯებს.

3.9 ავტომობილების საგარანტიო ვადა უნდა იყოს 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი).

3.10 საგარანტიო პერიოდში ავტომანქანის სერვისული მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის და/ან მიმწოდებლის მიერ შერჩეულ შესაბამის სერვისცენტრში.

3.11 ავტომანქანის ექსპლუატაციისას საჭირო ძრავის ზეთის, ძრავის ზეთის და ჰაერის და კონდენციონერის ფილტრების, წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების, ანთების სანთლების და ძრავის ღვედის და სხვა ცვთად დეტალების შეცვლის ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი თანმდევი (გეგმიური ფასიანი) საგარანტიო მომსახურების ფარგლებში.

3.12 შესყიდვის ობიექტის ღირებულება მოიცავს ავტომობილის მიწოდებასთან ერთად, ავტომობილის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ღირებულებას 100 000 კმ. გარბენზე. ერთეული ავტომანქანის საორიენტაციო ღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) ავტომობილის ღირებულება საქართველოს კანონდმებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის ჩათვლით.

ბ) თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურება - რომელიც წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართებში წარმოდგენილია ცხრილის სახით და გაანგარიშებულია 100 000 კილომეტრ გარბენზე. <u>**„საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს გამოცხადების დღით ეროვნული ბანკის კურსით აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით“**</u>

გ) ავტომობილის მიერ მოხმარებული საწვავის მაჩვენებელი (100 000კმ), რომლიც დაანგარიშებულია მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური საპასპორტო წვის მაჩვენებლისა (რომელიც უნდა ემთხვეოდეს მწარმოებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესაბამისი სპეციფიკაციის მონაცემებს) და ერთი ლიტრი საწვავის პირობითი ფასის - „1“-ის ნამრავლით 100000 კმ-ზე. (ავტომობილის მიერ მოხმარებული საწვავის დასაანგარიშებელი ფორმულა: თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავის წვის საპასპორტო მაჩვენებელი 100 კმ-ზე წარმოადგენს პირობითად 7 ლიტრს, მისი დაანგარიშება 100000 კმ-ზე განხორციელდება შემდეგნაირად: - 100000/100*7*1=7000) <u>**- წინამდებარე ტენდერის ფარგლებში, ამ პუნქტით გათვალისწინებული საწვავის ხარჯის გადახდა მიმწოდებლისთვის არ ხორციელდება.**</u>

3.13 ელექტრონული ვაჭრობა განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში ფიქსირებულ ჯამურ საორიენტაციო ღირებულებაზე ფასის კლების პრინციპით. შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ჯამურ საორიენტაციო ღირებულებასა და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ საბოლოო ფასს შორის სხვაობა პროპორციულად უნდა აისახოს ჯამური ღირებულების შემადგენელ თითოეული კომპონენტზე (გარდა საწვავის წვის მაჩვენებლისა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის მიერ ოფიციალურად დადგენილ წვის რაოდენობრივ პარამეტრს).

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო შემოთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- საგარანტიო, გეგმიური ფასიანი მომსახურების მოწოდება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მითითებულ სერვის ცენტრებში.
- თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული დანართი N1 შესაბამის პუნქტში წარმოდგენილი ცხრილით განსაზღვრული კილომეტრაჟის მიხედვით. მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურება ჩატარება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.14 გეგმიური ფასიანი მომსახურების შესყიდვაზე, ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ მითითებულ პირთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდეტის მიერ დანართი №1-ში გათვალისწინებული ფასებით, რა დროსაც ძალაში უნდა დარჩეს ავტომობილის

საგარანტიო პირობები. გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ქ. თბილისის ტერიტორიაზე. პრეტენტდენტის მიერ განსაზღვრულ პირს უნდა გააჩნდეს არანაკლებ ერთი სერვის-ცენტრი ქ. თბილისში.

3.15 ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება **100** ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით. **100** ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

ა) ავტომობილის შესყიდვის ფასი;
ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;
გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;
დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;
ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;
ვ) კონდინციონერის ფილტრის ხარჯი;
ზ) ანთების სანთლები;
თ) ძრავის ღვედი;
ი) საწვავის ხარჯი (შერეული წვის პირობებში) საპასპორტო მონაცემებით.

საწვავის ხარჯის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 1-ის. **100** ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს წინა და უკანა ხუნდები საჭიროების შემთხვევაში, სულ მცირე ხუთჯერ, ხოლო წინა და უკანა ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა გადასახდელი იქნება შემსყიდველის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექმომსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

3.16 შემოთავაზებული ავტომანქანა უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3.17 შემსყიდველი ავტომანქანის მიწოდების პარალელურად განახორციელებს შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მიწოდებულ ავტომანქანას შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები ან შემოწმებული ავტომობილები ვერ დააკმაყოფილებს ტექნიკურ მონაცემებს შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

3.18 მიწოდებული ავტომობილების ტექნიკური შემოწმების პროცესში (იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანას აღმოაჩნდება დეფექტი) მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი წუნდებული ავტომობილის/დეტალის შეცვლა და შესაბამისი ხარვეზის აღმოფხვრა.

3.19 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება მიმწოდებლის და/ან შემსყიდველის მისამართზე, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

3.20 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში - **ლარი.**

3.20.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთიანად, ავტომობილებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 კალენდალური დღის განმავლობაში.

3.20.2 თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ანგარიშსწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოს მიხედვით, ყოველჯერზე გაწეული მომსახურების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 კალენდალური დღის განმავლობაში.

3.20.3 გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს კალკულაციას (საქონლის და მომსახურების რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი) „ფლობის ღირებულების“ კომპონენტების მიხედვით, რომელიც შემდგომში აისახება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში და ძალაში იქნება ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან; საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შემოთა-ვაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით უცხოურ ვალუტაში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

(წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება)

3.21 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: ***100 % -*** **საკუთარი სახსრები** ***(2017 წლის სახსრები)***

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - 1 007 665 ლარი.